საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან ნემსაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბადრი შონიას კანდიდატურა?
დიახ (+) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ბადრი შონიას კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ბადრი შონია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის 1/23 განკარგულების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 30 მაისს ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად, მხარი დავუჭირე ბადრი შონიას კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციისა და კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად მიმაჩნია, რომ ბადრი შონია სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ამასთან, ჩემს მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასებულ იქნა **92**

ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 92%-ს შეადგენს; ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო შემაჯამებელი რეიტინგის მიხედვით კანდიდატმა დააგროვა 1392 ქულა, (მაქსიმალური შეფასების 92,80%) და საერთო რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი.

კანდიდატ ბადრი შონიას აქვს მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება. იგი არის მიზანდასახული, პრინციპული, შრომისმოყვარე პიროვნება; სასამართლო სხდომებს უძღვება სათანადოდ, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს; არის პრინციპული და შეუძლია ემოციების მართვა; ორიენტირებულია მუდმივ თვითგანვითარებაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ შეფასების პროცესში, ასევე დადებითად შეაფასეს კანდიდატი და მიიჩნიეს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის მიმართ არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ბადრი შონია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად.

პატივისცემით,

ლევან ნემსაძე

30.05.2024